



პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
2. საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.
3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადებისას, ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას აქვს ხელშეკრულება სხვა (დაინტერესებულ) იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება (ამ დროს ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნეს ამ პუნქტში მითითებული დოკუმენტი).
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში მიეთითება:
 - ა) საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი;
 - ბ) საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

- გ) კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ - ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
- დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
- ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება);
- ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
- ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვ.);
- თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
- ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;
- კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;
- ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);
- მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
- ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
- ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური არსებობის შემთხვევაში;
- რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
- ს) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6. კოლეჯი უფლებამოსილია, ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია შეცვალოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. კოლეჯის მიერ, რეგისტრაციის ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის.
2. რეგისტრაციის ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის მიმართავს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით ან გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებ-გვერდზე და რეგისტრირდება

ელექტრონული განაცხადის მეშვეობით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს ის იურიდიული პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს კოლეჯმა პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება ან/და უშუალოდ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა ელექტრონული სისტემით.

3. აპლიკანტის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის დროს, აპლიკანტს ან კოლეჯის უფლებამოსილ პირს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
- ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
- დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
- ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

4. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.

5. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას.

6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

7. ელექტრონული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისათვის მართვის სისტემა ამ წესით განსაზღვრული მიზნებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემები.

მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევა

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღება ცხადდება შესაბამის პროგრამებზე, არსებული კვოტის ფარგლებში, კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ქვეყნდება საჯაროდ (კოლეჯის ვებ-გვერდის მეშვეობით).

2. აპლიკანტთა შერჩევის პირობაა, ჩარიცხვის უფლების მქონე პირს, დაძლეული ქონდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სხვა დამატებითი მოთხოვნები (სრული ზოგადი განათლება, ასაკი, პროგრამის დარგის/სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები).

3. კოლეჯი უფლებამოსილია მოსთხოვოს აპლიკანტს დადგენილ ვადაში შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან/და დაბადების მოწმობის ასლი არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში;
 - ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი /საბაზო ან სრული ზოგადი განათლების/ ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა (საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, ასლები წარდგენილი უნდა იყოს დედანთან ერთად, საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება აპლიკანტს);
 - გ) უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;
 - დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად, საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება მფლობელს) და კანონიერი წარმომადგენლობის დოკუმენტი (მსმენელის კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით);
 - ე) სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად და მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება მფლობელს), მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციები;
 - ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სხვა დამატებითი დოკუმენტები (წინმსწრები დარგობრივი ცოდნის, პროგრამის დარგის/სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით სხვა დოკუმენტები).
4. დადგენილ ვადაში, სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისრულეზე პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს/მსმენელს.
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხდება გასაუბრებით, დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.
6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შესარჩევ გასაუბრებას და დოკუმენტთა განხილვას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დანიშნული მიმღები კომისია/ უფლებამოსილი პირები.
7. კონკურსის შემთხვევაში კოლეჯი განსაზღვრავს აპლიკანტის უპირატესობას დარეგისტრირების რიგითობის მიხედვით (წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით).
8. კოლეჯი შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს აწოდებს ინფორმაციას შერჩევის პროცედურის შესახებ.
9. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც

რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. ამავდროულად კოლეჯი ვალდებულია ამ კატეგორიის აპლიკანტებისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10. ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 5. მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა

1. მსმენელის სტატუსის მოპოვების პროცედურა ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.
2. მსმენელის სტატუსი შეიძლება მოიპოვოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს მე-4 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ და მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულება. არასრულწლოვანი მსმენელის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.
4. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში ასახება შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.
5. მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება მსმენელის სტატუსი, რაც კოლეჯის მიერ ასახება ელექტრონულ სისტემაში 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. ცვლილებები და დამატებები

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესში ცვლილებები და დამატებები შედის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილვისა და დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.